ოქმი N1

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 28 იანვარი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 30 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 29 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

4. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი);

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი);

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის
კომისიის თავმჯდომარე);

8. მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის გაცნობა.

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განმარტებითი ბარათი და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. იოსავა - ფრაქცია „საქართველოსთვის" თავმჯდომარე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ შემოდის წინადადებით საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებისთვის განსაზღვრული თანხა გაიზარდოს 500 ლარამდე და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოიძებნოს შესაბამისი თანხები.

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებისთვის განსაზღვრული თანხის გაზრდა 500 ლარამდე არ იქნებოდა პრობლემა.

მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა რატომ იზრდებოდა 59,6 ათასი ლარით ადმინისტრაციული შენობის ხარჯი?

დ. ჭოჭუა - გამომსვლელმა განმარტა, რომ ეს თანხა იყო ადმინისტრაციული შენობის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოების ასიგნება.

მ. ქარდავა - დაინტერსდა როდის დამრთავდებოდა ეს სამუშაოები, როცა სარემონტო სამუსაოებზე მხოლოდ სამი კაცის მუშაობდა, ამას მერიის შესაბამისმა სამსახურმა უნდა

მიაქციოს ყურადღება და გაუწიოს კონტროლი, რადგანაც შენობის შემოსასვლელი ატალახებულია და ფოიეში წყალი ჩამოდის და იმედია სამუშაოები დროულად დამთავრდება.

ი. ჯიშკარიანი - საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარე - გამომსვლელი დაინტერესდა ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული კულტურის სახლის რეაბილიტაციისთვის თანხა თუ იყო გამოყოფილი და საერთოდ განხორციელდებოდა თუ არა მისი რეაბილიტაცია.

ლ. ადანაია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ საშინელ მდგომარეობაში იყო ზემო ქვალონში შესასვლელი გზა და აინტერესებდა იყო თუ არა ამ გზის სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი შესაბამისი თანხები?

ლ. ქავთარაძე - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ობიექტური მიზეზების გამო, დღევანდელ სხდომაზე არ ესწრებოდნენ მერიის თანამდებობის პირები, რომლებიც დასმულ კითხვებზე გასცემდნენ კომპეტენტურ პასუხს და განუმარტა შეკითხვის ავტორებს სხდომის დასრულების შემდგომ მიემართათ მერიის შესაბამისი სამსახურებისთვის.

დებატების დასრულების შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში იზრდება შემოსულობები 2936,4 ლარით, აქედან 2852,4 ლარი (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან) და 84011,46 ლარი (მიზნობრივი ტრანსფერი საჯარო სკოლების დაფინანსება). ხოლო არსებული ნაშთიდან გადმოტანილი 756 000 ლარი მიიმართება: 1) 182,2 ათასი ლარი „წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება". 2) 548,0 ათასი ლარი „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია". 3) 20,7 ათასი ლარი „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები". 4) 5,1 ათასი ლარი „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N1 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (მ. თათარიშვილი), წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

მ. თათარიშვილი - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით, 2022 წლის 1 იანვრიდან სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალში სისტემური რეგისტრაციისთვის დადგენილი ვადით ჩერდება მუნიციპალიტეტის და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლისთვის კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებები მიწის რეგისტრაციის პროცესში. ზემოთ აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ოქტომბრის №45 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". დადგენილების პროექტით ასევე ზუსტდება

მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ გასაცემი საქონლის ადგილწარმოშობის შესახებ ცნობის შინაარსი და ცნობის გაცემის შესაძლებლობა კონკრეტდება პირუტყვის, ხე-ტყის და მცენარეების ადგილწარმოშობის შესახებ ცნობის ფორმულირებით. წარმოდგენილი დადგენილების პროექტით რეგულირდება მერის წარმომადგენლის არყოფნის შემთხვევაში მისი უფლებამოსილების დაკისრების საკითხი. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N2 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ", სადაც გაწერილია საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმა საკრებულოს კომისიების წლიური გეგმისა და მერიის მიერ 2022 წელს მოსამზადებელი პროექტების გათვალისწინებით, რომელიც გათვლილია კვარტლების მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N1 ოქმს თან ერთვის)

4. „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: დ. ჭოჭუა - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების კვარტალური განწერის დასამტკიცებლად ხობის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს (ლ. ლიპარტია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ლ. ლიპარტია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ, ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესაბამისად, მომზადდა ადგილობრივი ბიუჯეტის კვარტალური განწერა, რაც გულისხმობს ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნამთის ცვლილების ყოველკვარტალურად განაწილებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის

(გარდა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციისა) მიხედვით. გამომსვლელის განცხადებით, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N2 ოქმს თან ერთვის)

5. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტს დამატებითი ქონების სახით გადმოეცა ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონება ს/კ 45.02.25.464, სადაც განთავსებულია სოფელ ზუბის საბავშვო ბაღი. მუნიციპალიტეტის მერია შემოდის წინადადებით აღნიშნული ქონება გადაეცეს ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო გაერთიანება"-ს საბავშვო

ბაღის ფუნქციონირებისათვის, რაზედაც მომზადდა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი. გამომსველელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N3 ოქმს თან ერთვის)

6. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის საერთო დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან და დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-7 საკითხთან დაკავშირებით (მასალები ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის თანახმადაც საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს დაეკისრათ ვალდებულება საკრებულოს ერთ კომისიაში მაინც და არაუმეტეს ორისა გაწევრიანების თაობაზე. საკრებულოს წევრებმა გივი ლატარიამ და დიტო ხასიამ დატოვეს საფინანსო-საბიუჯეტო და იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობები, შესაბამისად საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ქარდავა პირადი განცხადების საფუძველზე შეყვანილ იქნა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემაადგენლობაში, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ქაჯაია

ასევე პირადი განცხადების საფუძველზე შეყვანილ იქნა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობაში. ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტები: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N31 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე". გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მათი დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N4 ოქმს თან ერთვის)

7. „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N32 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 29 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 29, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N5 ოქმს თან ერთვის)

8. მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის გაცნობა

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო აუდიტის ანგარიში მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის შესახებ (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილ იქნა მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, ანგარიშის თანახმად შედგენილი რეკომენდაციები გადმოეგზავნა საკრებულოებს საკრებულოს წევრებისთვის გასაცნობად, გაცემულია შემდეგი სახის რეკომენდაციები.

1. მუნიციპალიტეტის მერიამ და საკრებულომ შეისწავლონ ემყარება თუ არა ა(ა)იპ-ების შექმნა რეალურ საჭიროებებს და რამდენად არის ცალკე იურიდიული პირის დაფუძნება და ფუნქციონირება საუკეთესო ალტერნატივა მოსახლეობისთვის კონკრეტული სერვისების მისაწოდებლად.

2. შესწავლილ იქნას იურიდიული პირების საკადრო პოლიტიკა, განახორციელონ ა(ა)იპ - ში დასაქმებულთა უფლება მოვალეობისა და მათზე დახარჯული სახსრების ანალიზი და შეაფასონ იდენტური ფუნქციების მქონე საშტატო ერთეულების არსებობის მიზანშეწონილობა და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყონ არსებულ საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია.

3. შესწავლილ იქნას იმ ა(ა)იპ - ების საქმიანობა, რომლებსაც არა აქვთ სათანადო მატერიალური რესურსები ფუნქციების განსახორციელებლად და გაატარონ სათანადო ღონისძიებები.

4. მუნიციპალიტეტებს არააქვთ შემუშავებული თანმიმდევრული სამოქმედო გეგმა, როგორ უნდა მიაღწიონ კონკრეტულ სფეროში დასახულ მიზანს, ა(ა)იპ - ების დაფუძნება და მათზე დაფინანსების გაცემა ხშირ შემთხვევაში არ არის საკმარისად გაანალიზებული.

5. თვითმმართველობის მიერ შექმნილია იურიდიული პირები გარე განათების, სანიაღვრე არხების მოვლა პატრონობის და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მიმდინარე ან კაპიტალური შეკეთების მიზნით, აღნიშნული სფეროები განეკუთვნება სამეწარმეო საქმიანობას და აუდიტის სამსახურის რეკომენდაციით მაქსიმალურად უნდა იყოს გატანილი მუნიციპალიტეტიდან - კერძო სექტორში, ხოლო მომსახურების შესყიდვა მიზანშეწონილია განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების გზით და არა ა(ა)იპ - ების დაფინანსების ფარგლებში.

6. მუნიციპალიტეტებმა უნდა განიხილონ ა(ა)იპ - ების წლიური შედეგები და შეაფასოს საქმიანობა, რაც ხელს შეუწყობს ა(ა)იპ - ების განვითარებას და მათი საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდას.

კომისიის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი ანგარიში და მიზანშეწონილად მიაჩნიათ ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნა მიღებული და კომისიის თავმჯდომარის წინადადების საფუძველზე ანგარიში გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. ლევანი ლიპარტია
4. მედეა თათარიშვილი
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ია ჯიმკარიანი
8. ლელა ადანაია
9. გურიელ ქარდავა
10. ბადრი რიჟამაძე
11. მალხაზი იოსავა
12. მზია ლემონჯარია
13. ქეთევან კვირიკაშვილი
14. დიტო ხასია
15. ჯანსუღი ჯიმკარიანი
16. ფრიდონი კუკავა
17. ნუგზარი შუშანია
18. გივი ლატარია
19. კობა გერგაია
20. აკაკი ხურცილავა
21. სერგო ბერაია
22. გიორგი გვასალია
23. ბექა ხარბედია
24. ვეფხვია ფოცხორაია
25. ფელიქსი წურწუმია
26. მოგელი ხუხია
27. თათია ქირია
28. ნინო ბოკუჩავა
29. ფრიდონ შონია